





პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 170 (7481)

4 1983 წ. სექტემბერი კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# სტარტზეა ჯანმრთელობის კვირეული

**ამ დღეს,** რომელსაც გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის საკავშირო დღე ეწოდება, ოფიციალურად დასაბამი შარშან მიეცა, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში მასობრივად მოეწყო მძლეოსნური გარბენები, ეს სტარტები მილიონობით ადამიანებით განისაზღვრა. ფაქტობრივად კი უკვე დიდი ხანია, რაც ჩვენში მისდევენ ჯანმრთელობის ამ ერთ-ერთ ყველაზე უფრო უებარ საშუალებას — რბენას. თავიდან ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ტყე-პარკებისა და სკვერების ბილიკებზე გამოჩნდნენ დილის ვარჯიშისა და რბენის მიმდევარნი; ერთეულ ადამიანებს შემდეგ აჰყვნენ სხვებიც და წარმოიშვა ენთუზიასტთა მთელი ჯგუფები. და ბოლოს წამოწყებამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო, რბენის მოყვარულნი ოფიციალურ კლუბებში გაერთიანდნენ, რომლებსაც აქვთ თავიანთი დებულება, რომელსაც ყველა მტკიცედ იცავს. სხვათა შორის, ჯერ კიდევ შარშან ორასამდე კლუბი იყო აღნუსხული, მორბენლის პირველი საკავშირო დღის შემდეგ კი რბენის ნამდვილმა ბუმმა იფეთქა, დღეს ჩვენს ქვეყანაში 3 ათასამდე რბენის მოყვარულთა კლუბია.

ცხადია, რომ ამ დღეებში, როცა კარზეა მომდგარი ჯანმრთელობის ეს დიდი ზეიმი — გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის საკავშირო დღე, ყველაზე მეტი საზრუნავი კლუბების მესვეურებსა და მის წევრებს უნდა ჰქონდეთ. მათ ეძლევათ საშუალება კვლავ წარსდგნენ ხალხის წინაშე და თვალნათლივ გაუწიონ პროპაგანდა ამ სასიკეთო საქმეს. ჯანმრთელობის კილომეტრების დასაფარავად გამოვა რბენის მოყვარულთა კლუბი „კუც“, რომელიც თბილისის კუს ტბის ბაზაზე არსებობს. მის წევრებს არაერთი მასობრივი ღამქრობა აქვთ ჩატარებული. ისინი 11 სექტემბერსაც მთელი შემადგენლობით გამოვლენ ტრასაზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ კლუბის თითოეული წევრი ზრუნავდეს თავიანთი რიგების გამრავლებაზე, ყოველ შემთხვევაში, იმისათვის, რომ 11 სექტემბერი ჯანმრთელობისა და სიმხნევის მასობრივ დღესასწაულად იქცეს. სასურველია, რომ „კუს“ გამოსვლა მდინარის იმ სათავეს დაემსგავსოს, რომელიც გზადაგზა ივსება და ფართოვდება მრავალი შენაკადით და ბოლოს დიდ მდინარედ იქცევა. აი, ასეთ წყალუხვ მდინარედ გვსურს ვიხილოთ ჩვენი „კუ“. ამ კლუბის წევრების გარდა 11 სექტემბერს საინტერესო ლაშქრობით აღნიშნავენ მოგზაურობის მოყვარულნი, რომელთა ბირთვს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები შეადგენენ. ისინი კვლავინდებურად ბაგებში დილის 9 საათისათვის გელიან თქვენ, სიარულის მოყვარულნო, რათა შემდეგ წაგიძღვნენ ბეთანიისა თუ ლელვთახევისაკენ და ჩვენი სამშობლოს ბუნების სილამაზესა და მის მდიდარ, საინტერესო წარსულს გაზიარონ...

**11 სექტემბერი გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის საკავშირო დღეა. დღეს კი იწყება სიმხნევისა და ჯანმრთელობის კვირეული, რომლის ბილიკები თქვენ გელით, მეგობრებო!**

# გუშინ...

დილით ბ. გურგენიძე და ე. გუფელდი ყაიმზე შეთანხმდნენ თამაშის განუახლებლად. ე. მნაცაკანიანმა დაამარცხა ხ. კიარნერი.

საღამოს XI ტურის შეხვედრები გაიმართა. სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე ნ. მურშედი — ლ. ოლი და ო. ფოიშორი — ი. ადამსკი.

პირველი მარცხი იწვნია გუფელდმა რ. ჰენლისთან პარტიაში. მწვავე პოზიციაში, როცა ყოველი სვლა დიდ დაკვირვებას მოითხოვდა, გუფელდი ცაიტნოტში აღმოჩნდა. საკმარისი იყო ერთი შეცდომა, რომ ამერიკელმა დიდოსტატმა დაასამათა მისი მეფე. ვ. გავრიკოვმა დამაჯერებლად გამოიყენა მნაცაკანიანის მცდარი თამაში და გაიმარჯვა. გ. ზაიჩიკ — ზ. სტურუას შეხვედრა ცაიტნოტში მიმდინარეობდა. სტურუამ დაუშვა მეტოქის პოზიციის გაძლიერება და წააგო.

სამი პარტია გადაიდო. გურგენიძეს ხ. ველიჩკოვიჩთან ენდშპილში ზედმეტი პაიკი აქვს, ხ. ნოგეირასს კიარნერთან ზედმეტი ხარისხი. თანაბარ მდგომარეობაში გადაიდო ე. უბილავა — გ. გიორგაძის პარტია.

11 ტურის შემდეგ ლიდერობენ ვ. გავრიკოვი (ვილნიუსი) 7,5 ქულა, ლ. ოლი (ტალინი) —6,5, ე. გუფელდი, რ. ჰენლი (აშშ), ო. ფოიშორი (რუმინეთი), ი. ადამსკი (პოლონეთი) — 6-6.

დღეს, 4 სექტემბერს გაიმართება XII ტურის შეხვედრები.






# საინტერესოდ, შინაარსიანად...

**როგორც** ვიუწყებოდით, ვ. გოგლიძის მემორიალის მონაწილეებმა თავიანთი დასვენების დღე (2 სექტემბერი) საინტერესოდ და შინაარსიანად გაატარეს.

— თანამედროვე თბილისის დათვალიერება მოვასწარით, ახლა ქალაქის ძველი უბნები გვაინტერესებს, — გვითხრა პოლონელმა ა. ადამსკიმ. ექსკურსიაც აქედან დაიწყო.

პირველად მოჭადრაკეები ფოლკლორის თეატრს ეწვივნენ. აქ მათთვის ქართული სიმღერებისა და ცეკვების სახელდახელო კონცერტი გაიმართა. შემდეგ მივიდნენ ცნობილი მხატვრის გივი ყანდარელის სახელოსნოში, რომლის აივნიდან ძველი თბილისის საოცარი პანორამაა გადაშლილი. იყვნენ აგრეთვე „სამტრესტის“ საფირმო მაღაზიაში და ბავშვთა ნახატების გამოფენაზე.

— ჩვენში პოეზიის მოყვარულნი კარგად იცნობენ ნიკოლოზ ბარათაშვილს, — თქვა რუმინელმა ოსტატმა ო. ფოიშორმა დიდი ქართველი პოეტის სახლ-მუზეუმში ყოფნისას.

...პატარძეულის შინმოუსვლელთა მემორიალთან საგარეჯოს რაიონის მოსწავლეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ცნობილ მოჭადრაკეებს. იქიდან ყველამ საზეიმოდ მორთულ საგარეჯოს ჭადრაკის სახლს მიაშურა.

სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ ჭადრაკის სახლს, მის ფოტო-გამოფენას. ნორჩ მოჭადრაკეებს პირდაპირ ქუჩაში გაეწყოთ მაგიდები და დიდოსტატმა ე. გუფელდმა ერთდროული თამაშის სეანსი ჩაუტარა. თოთხმეტიდან სამმა ყმაწვილმა ყაიმს მიაღწია.

სახლის დიდ დარბაზში მემორიალის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა თ. გიორგაძემ ისაუბრა ვ. გოგლიძის მოღვაწეობაზე, აჩვენა მისი ერთ-ერთი პარტია. ჭადრაკის სახლის თავკაცმა ცნობილმა ეტიუდისტმა, საერთაშორისო ოსტატმა დ. გურგენიძემ სტუმრებს თავისი ორი ახალი ნაწარმოები გააცნო, საერთაშორისო ოსტატმა ხ. კიარნერმა გაიხსენა გამოჩენილი ესტონელი დიდოსტატის პ. კერესის ეტიუდი.

შემდეგ ჭადრაკის სახლის საპატიო წევრებად აირჩიეს დიდოსტატები ე. გუფელდი, რ. ჰენლი (აშშ) და ხ. ნოგეირასი (კუბა).

დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია ამერიკელი დიდოსტატისა და საგარეჯოელი ოსტატობის კანდიდატის თ. კობიაშვილის სახელდახელო ბლიცპარტიამ.

შეხვედრამ გულთბილად ჩაიარა. მას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მედეა მეზვრიშვილი, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. მეტრეველი, თბილისის კიროვის და საგარეჯოს რაიონების ხელმძღვანელები, აგრეთვე ვ. გოგლიძის ვაჟი ვლადიმერ გოგლიძე.

**თ. ნინოშვილი.**

• • •

**სურათებზე:** ძველი თბილისის დათვალიერებისას — (მარცხნიდან) რ. ჰენლი, ი. ადამსკი და ლ. ოლი; „კასპაროვმა კიდევ მოიგო!“ ხ. ველიჩკოვიჩი (მარცხნივ) და ო. ფოიშორი; საგარეჯოს ჭადრაკის სახლის თავკაცი დ. გურგენიძე და სახლის ახალი საპატიო წევრები ე. გუფელდი, ხ. ნოგეირასი და რ. ჰენლი.

თ. ქიქავას ფოტოები.



სოციალისტური ქვეყნების დინამიადა კალათბურთში

# საპასუხისმგებლო ამოცანები

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო სოციალისტური ქვეყნების დინამიადამ კალათბურთში. ჩვენი ქვეყნის ღირსებას ამ საპასუხისმგებლო ტურნირში იცავს თბილისის „დინამო“.

ჩვენი კალათბურთელებისათვის ამ ტურნირს დიდი მნიშვნელობა აქვს. გუნდი ფაქტიურად ორ მიზანს ისახავს, ორი რთული ამოცანა აქვს გადასაწყვეტი. ეს არის ტურნირში I ადგილის მოპოვება და სსრ კავშირის ჩემპიონატისათვის სამზადისი—ეს შეჯიბრება ხომ მომზადების უკანასკნელი ეტაპია თბილისელთათვის.

ბოლო ხანებში კოლექტივში მომხდარი სასიკეთო ძვრები გვაიმედებს, რომ თბილისის „დინამო“ წარმატებით დაძლევს ამ ორივე პრობლემას.

გუშინვე გაიმართა პირველი მატჩები: ვროცლავის „გვარდიამ“ (პოლონეთი) ანგარიშით 64:62 (38:28) დაამარცხა ბუქარესტის „დინამო“ (რუმინეთი). თბილისის „დინამოსა“ და სოფიის „ლევსკი-სპარტაკის“ (ბულგარეთი) შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 101:84 (51:36).

ჭიდაობა ჩვენი, ქართული...







საბჭოთა ალპინიზმის 60 წლისთავისთვის

# მოვლენათა ქრონიკა

**1933—1943 წ.წ.**

**გაზეთ** „ივერიის“ ფურცლებზე 1889 წელს ქვეყნდებოდა წერილების სერია სათაურით „იალბუზის გარშემო“. ერთ-ერთ წერილში მოთხრობილი იყო კავკასიონის ულამაზეს და გოროზ მწვერვალზე — ორთავა უშბაზე. 14 მაისს „ივერია“ იუწყებოდა: „ყველა მოგზაურნი, რომელნიც კი სვანეთში ყოფილან, ერთის ხმით სწერენ და ამბობენ, რომ მთელს კავკასიაში ჩაგისთანა დიდებული, ლამაზი და თავისებური მთა არ მოიპოვებაო და სხვა რომ არა იყოს-რა საინტერესო სვანეთში, მარტო იმისთვის ღირს იქ წასვლა, რომ ამ მთას შეხედოს და იამოვნოს ადამიანმა“.

უშბა მუდამ იზიდავდა და იზიდავს მთელი მსოფლიოს მთამსვლელებს.

უშბის ჩრდილოეთი მწვერვალი ჯერ კიდევ 1888 წელს მეოთხე ცდით დალაშქრეს, სამხრეთის მწვერვალზე კი მხოლოდ 1903 წელს, უკანასკნელი 15 წლის მანძილზე მეთექვსმეტე ცდით, ავიდა გერმანელებისა და შვეიცარიელების ჯგუფი ა. შულცის მეთაურობით. მოგვიანებით სამხრეთის მწვერვალზე უშბის ტრავერსისას ფეხი შედგა კიდევ სამმა გერმანელმა ლ. დისტელის ხელმძღვანელობით.

1929 წელს სამხრეთ უშბა გერმანელთა ექსპედიციის წევრებმა სახელგანთქმული ვ. მიორკლის მეთაურობით დალაშქრეს. 1934 წელს ამ მწვერვალზე შვეიცარიელები ლ. სალადინი და ვ. ვეკერტი ავიდნენ.

და აი, იმავე წელს სამხრეთ უშბაზე მეორედ მიიტანა იერიში ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ალექსანდრა ჯაფარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი, გიო ნიგურიანი, ალექსანდრე გვალია და ლევან მარუაშვილი. ასვლისას მარუაშვილი შეუძლოდ გახდა და მასთან ერთად გვალია დარჩა. დანარჩენებმა კი გზა განაგრძეს და მწვერვალს მიაღწიეს.

სამხრეთ უშბაზე პირველი საბჭოური ასვლა იმ დროისათვის მსოფლიო სტანდარტების დონეზე იდგა და დიდი მოვლენა იყო ალპინიზმის ისტორიაში, მით უმეტეს, რომ მწვერვალზე ქალიც ავიდა.

იმავე წელს, თითქმის უშბაზე ასვლის პარალელურად, პამირში საბჭოთა არმიელებმა კ. ჩერნუხას ხელმძღვანელობით ლენინის პიკზე მიიტანეს იერიში. 21 კაცმა 7000 მეტრამდე ააღწია, მერე გზა 6 მთამსვლელმა განაგრძო, მწვერვალამდე კი კ. ჩერნუხამ, ვ. აბალაკოვმა და ი. ლუკინმა ააღწიეს. მაშინ ფიქრობდნენ, რომ ლენინის პიკი სსრ კავშირში სიმაღლით მეორე მწვერვალი იყო.

უშბაზე და ლენინის პიკზე ასვლამ ცხადყო, რომ საბჭოთა მთამსვლელები მსოფლიოს საუკეთესო ალპინისტებს არ ჩამოუვარდებოდნენ არც ტექნიკურად რთული მწვერვალების დაძლევაში და არც სასიმაღლო ასვლებში.

1934 წელს მოსკოვში გაიმართა მთამსვლელთა საკავშირო შეკრება, სადაც განიხილეს ჩვენს ქვეყანაში ალპინიზმის განვითარების საკითხები. ითქვა, რომ სპორტის ეს სახეობა ვითარდება არა მარტო მთიან რესპუბლიკებში: საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, ჩრდილოეთ ოსეთსა და ყაბარდო-ბალყარეთში, არამედ აგრეთვე, უკრაინაში, მთებისაგან დაშორებულ ქალაქებში მოსკოვში, ლენინგრადში, როსტოვში, სტალინგრადში, გორკში, სვერდლოვსკში...

შეკრებაზე გამოცხადდა, რომ წესდება ალპინიზმის ოსტატისა და ალპინიზმის დამსახურებული ოსტატის წოდებები. პირველი დამსახურებული ოსტატები გახდნენ: ნ. კრილენკო, ლ. ბარხაში, ძმები ვიტალი და ევგენი აბალაკოვები, ხოლო პირველი ოსტატები — ვ. სემენოვსკი, მ. პოგრებეცკი, გ. დელონე, ა. კრესტოვიკოვი, დ. ტუშჩინი, ე. ბელეცკი, ა. ჯაფარიძე, ა. გვალია და დ. წერეთელი.

საბჭოთა ალპინიზმის მემატიანე გვერდს ვერ აუვლის ერთ მეტად საინტერესო ფაქტს, რომელიც 1934 წელს მოხდა.



ალექსანდრე გვალიამ იმ წლის ერთ მშვენიერ დღეს, უფრო ზუსტად 11 მარტს, თხილამურები მხარზე გაიდო და ორწვერისაკენ გაემართა. მერე იქიდან... თხილამურებით დაეშვა, 14 აპრილს კი მყინვარწვერიდან მოაწყო უალრესად გაბედული დაშვება თხილამურებით. ეს იყო გაუგონარი შემთხვევა არა მარტო ალპინიზმის, არამედ სათხილამურო სპორტის ისტორიაშიც.

იმ წლებში დადგა ალპური კლუბების ჩამოყალიბების საკითხი. 1935 წელს კლუბები შეიქმნა ყაბარდო-ბალყარეთსა და ყაზახეთში, მომდევნო წელს — საქართველოში... მათ დიდი როლი შეასრულეს ალპინიზმის განვითარებაში.

საბჭოთა ალპინიზმის მეორე ათწლეულში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი იყო 1937 წლის ასვლები. მაშინ სამხრეთ უშბაზე სხვადასხვა ჯგუფის 57 წევრი ავიდა. ამასთან უშბის მწვერვალთა ტრავერსი პირველად განხორციელდა ორივე მხრიდან.

და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი ასვლა ეკუთვნით გაბრიელ, ბექნუ, ბესარიონ ხერგიანებს, ჩიჩიკო ჩართოლანსა და მაქსიმე გვარლიანს, რომლებმაც უშბის მწვერვალზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, გულის მყინვარის მხრიდან ძალზე რთული კედლოვანი გზა დაძლიეს და საფუძველი ჩაუყარეს კედლოვან ასვლებს. ამ მარშრუტის დაძლევას მანამდე ამაოდ ცდილობდნენ უცხოეთის საუკეთესო ალპინისტები.

ქართველ მთამსვლელთა გამარჯვების ფასი უფრო ნათელი იქნება, თუ იმასაც ვიტყვით, რომ მათ მიერ განვლილი გზა სირთულით ბევრად აღემატებოდა ალპების გრანდ ჟორასისა და ეიგერვანდის მწვერვალებზე გაკვალულ კლდოვან ბილიკებს, რომლებიც უძნელეს მარშრუტებად იყო აღიარებული მთელ მსოფლიოში.

1937 წელი ქართველი მთამსვლელებისათვის საინტერესო იყო იმითაც, რომ იმ წელიწადს მთელი მსოფლიო აღნიშნავდა დიდი შოთა რუსთაველის იუბილეს. ამ თარიღის აღსანიშნავად მრისხანე ბეზინგის ზღუდეში შემავალ ჯანღასა და შხარას მასივებს შორის მდებარე უსახელო მწვერვალზე (4960 მ.). ალექსანდრე გვალია და რამინ კვიციანი ავიდნენ. პირველამსვლელთა უფლებით მწვერვალს უკვდავი შოთას სახელი უწოდეს, იქვე დატოვეს რუსთაველის ბარელიეფიც. საინტერესოა, რომ მათ მწვერვალი შემოდგომაზე დალაშქრეს, და ეს მაშინ, როცა უკარება ბეზინგის ზღუდის მწვერვალებზე ასვლა ზაფხულშიაც დიდ სიძნელეს წარმოადგენს.

1938 წელი არანაკლებ საინტერესო იყო ქართული ალპინიზმის ისტორიისათვის. ალექსანდრე ჯაფარიძის ჯგუფმა (ალექსანდრა ჯაფარიძე და ივანე გალუსტოვი) განახორციელა დიდი ტრავერსი ფასის მთიდან ფიტნარგინისა და წურუნგალას შორის მდებარე უსახელო მწვერვალამდე. მთამსვლელებმა „გზად“ 13 მწვერვალზე გაიარეს. ბევრ მათგანს პირველად შეეხო ადამიანის ფეხი. ეს ტრავერსი ფაქტიურად თავფურცელი იყო იმ დიდი ტრავერსებისა, რომლებმაც ქართველ მთამსვლელებს ბრწყინვალე გამარჯვებები მოუტანა. მათ შორის პირველი იყო 1940 წელს განხორციელებული ტრავერსი წურუნგალიდან რუსთაველის პიკამდე. ეს ტრავერსი ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებმა, გოჯი ზურებიანმა, ბექნუ და გაბრიელ ხერგიანებმა შეასრულეს. ლაშქრობის მერე სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა ალიოშა ჯაფარიძეს, ხოლო მის დას, ბექნუ და გაბრიელ ხერგიანებს — სპორტის ოსტატისა.

დიდი სამამულო ომის წლებში მთამსვლელებმა ბევრი ასვლა მოაწყვეს, მაგრამ, ბუნებრივია, სერიოზული ასვლისათვის იმ ხანად აღარავის ეცალა. მთამსვლელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, სამშობლოს დასაცავად აღსდგნენ. კავკასიისათვის ბრძოლაში გერმანელ და იტალიელ ფაშისტთა რჩეულ სამთო დივიზიებს საბჭოთა ალპინისტების საუკეთესო ნაწილები დაუპირისპირდნენ. როცა იალბუზის ორთავ თავზე გერმანელებმა თავიანთი დროშები ააფრიალეს, ჰიტლერულმა პროპაგანდამ ეს ფაქტი გმირობად აღიარა. იალბუზის დაპყრობა კავკასიის დაცემას აგვირგვინებსო, იუწყებოდა გერმანული პრესა, მაგრამ საბჭოთა ჯარებმა მტერი განდევნეს. 1943 წლის თებერვალში იალბუზიდან ფაშისტური დროშები ჩამოხსნეს. ჩვენმა მთამსვლელებმა დიდი როლი შეასრულეს კავკასიის განთავისუფლების საქმეში.

მარშალი ა. გრეჩკო თავის წიგნში წერდა:

„გვინდა თბილი სიტყვებით მოვიხსენიოთ ჩვენი სახელოვანი მთამსვლელები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს კავკასიის უღელტეხილებზე ბრძოლებისას.. მთამსვლელები იყვნენ ფრონტის ყველა მაღალმთიან რაიონში. ბევრი მათგანის გმირობა მთავრობის ჯილდოებით აღინიშნა, მათს საგმირო საქმეებზე წერდნენ საფრონტო გაზეთები“. მათ შორის მრავლად იყვნენ საქართველოს წარმომადგენლებიც.

**ა. გურასაშვილი**
(საქინფორმი).

• • •

**სურათზე:** მწვერვალი უშბა.
ავტორის ფოტო.

# ზეიმი — ზედდულეთში

**სოფელ** ზედდულეთის სპორტული კომპლექსის საჭიდაოზე ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ გორის რაისაბჭოს პირადგუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

შეჯიბრებას წინ უძღოდა საზეიმო ცერემონიალი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ზედდულეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ, სპორტის ოსტატმა ა. ილურიძემ.

ასპარეზობის ალამი აღმართა სსრ კავშირის ჩემპიონმა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის, სპორტის ოსტატმა ა. თენაძემ, რის შემდეგ შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. ზაუტაშვილმა წყვილები იხმო საჭიდაოდ. ერთმანეთს ცვლიდნენ ზერტელი, მეჯვრისხეველი, ფლაველი, ზედდულელი, ტყვიაველი თუ კარალელი ფალავნები. შეჯიბრებას მაღალკვალიფიციურად სჯიდნენ სპორტის ოსტატები: ა. ილურიძე, ს. მაისურაძე, შ. გურგენიძე.

წონითი კატეგორიების მიხედვით „კოლმეურნეს“ რაიონული საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: დ. თენაძე (56 კგ), გ. მაისურაძე (60 კგ), ნ. მაჭარაშვილი (64 კგ), გ. ბუჟღულაშვილი (68 კგ), ო. გოგშელიძე (73 კგ), გ. ტიელიძე (79 კგ), ა. თენაძე (87 კგ), ზ. ფიცხელაური (მძიმე წონა).

გუნდური I ადგილი არავის დაუთმეს მასპინძლებმა — სოფელ ზედდულეთის მოჭიდავეებმა (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ე. ცერცვაძე). II ადგილზე გავიდა ფლავის, III — ზერტის გუნდი.

აბსოლუტურ წონაში გაიმარჯვა სსრ კავშირის ჩემპიონმა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის, სპორტის ოსტატმა ა. თენაძემ (ფლავი), რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა ზ. ფიცხელაური (ზედდულეთი). III ადგილზეა ი. ბაიდაშვილი (ზედდულეთი).

აქვე, ერთდროულად გათამაშდა ზედდულეთის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის, სამბოში „დინამოს“ საკავშირო ცენტრალური საბჭოს ორგზის ჩემპიონის და ქართულ ჭიდაობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის ოსტატ ალბერტ ილურიძის სახელობის პრიზი.

გამარჯვებული სპორტსმენები დააჯილდოვეს ვეტერანმა სპორტსმენმა ა. ილურიძემ და „კოლმეურნეს“ თავმჯდომარემ ა. ქურთაულმა.

**ვ. გენგიური.**

• • •

**სურათებზე:** ქართული ჭიდაობის ზეიმი ზედდულეთში და გამარჯვებული გუნდი.
ავტორის ფოტოები.

# კვლავ ოქროს მედალი

**დიდი** ხანი არ არის, რაც ვიუწყებოდით, რომ შინაგან საქმეთა ორგანოების საკავშირო პირველობაზე ავტომატით სროლაში ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა უძლიერესის სახელი თბილისის ლენინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების კაპიტანმა თეიმურაზ ლაკიამ.

სულ ახლახან კი თეიმურაზმა კვლავ ახალი გამარჯვებით გაგვახარა. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ჩეხსკი ბოდიოვეცში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების შინაგან საქმეთა სამინისტროების სპარტაკიადა. ქართველმა კაპიტანმა კვლავ თავი გამოიჩინა — მოიპოვა გუნდური პირველობა და ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი.

**ჯ. კასრაძე.**

# სამი ჩემპიონი

**26-28 აგვისტოს** კიშინიოვში ჩატარდა სოფლის სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები ორ ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. პირველ ქვეჯგუფში 6 საუკეთესო ნაკრები იყო, რომელთაც 30-30 სპორტსმენის გამოყვანა შეეძლოთ, მეორეში მყოფ 10 გუნდს კი ოც-ოცისა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ სპორტსმენებმა სწორედ ამ ქვეჯგუფში იასპარეზეს და წარმატებითაც: მათ მოსკოვის ოლქის ძლიერი გუნდის შემდეგ მეორე ადგილი მოიპოვეს, ამასთან დაგროვილი ქულების რაოდენობის მიხედვით საგრძნობლად აჯობეს პირველ ქვეჯგუფში მყოფ უზბეკეთის „ფახთაქორს“.

საქართველოს მძლეოსნებმა პირადი პირველობისათვის ბრძოლაშიც გამოიჩინეს თავი: მ. აზარაშვილმა 100 მ რბენაში 11,6 აჩვენა და მეტოქეებისათვის მიუწვდომელი გახდა. 110 მეტრზე თარჯრბენში კარგი შედეგით — 13,8 წამით გაიმარჯვა ლ. ბლიაძემ. ორივე შედეგი სპორტის ოსტატის ნორმატივია. ა. ლევჩენკომ ყველას აჯობა ჰოკით ხტომაში — 5 მ. ნ. ლაბაძემ ბადროს ტყორცნაში მე-2 ადგილი მოიპოვა სპორტის ოსტატის ნორმატივით — 57,04 მ. ასევე მეორე ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ი. დმიტრიევი 400 მეტრზე თარჯრბენში — 52,3.

# იარეთ მთებში, მეგობრებო!

**საქართველოში** საბჭოთა ალპინიზმის დაარსების 60 წლისთავს და მიხეილ ხერგიანის დაბადების 51 წლისთავს მიეძღვნა ასვლა მწვერვალ „ბანგურიანზე“, რომელიც დაბა მესტიაში სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ (თავმჯდომარე ბ. მჭედლიანი, მეთოდისტი მ. ჭალიანი) ინიციატივით მოეწყო.

ასვლაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებმა, მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, პედაგოგებმა, ექიმებმა, ცნობილმა მთამსვლელებმა. მწვერვალის სიმაღლე ზღვის დონიდან 3800 მეტრია, ასვლას ხელმძღვანელობდა ოსტატობის კანდიდატი ნ. ნიგურიანი.

მწვერვალის დამპყრობთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო მულახის საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ელგუჯა გულბანი.

მთაში იბადება, იწრთობა რაინდული თვისებები, ღულაბდება მეგობრობა, იხვეწება ურთიერთობა ადამიანებს შორის.

იმ დღეს თავს ბედნიერად ვთვლიდი, ისე მხიბლავდა მთების სილამაზე და სიდიადე, ისე ახლოს იყო ცა, მზე, ვარსკვლავები, თითქოს და ხელით მივწვდებიო ამ უსაზღვრო სივრცეს. მოჯადოებული ფიქრებში ვესაუბრებოდი ყველას — იარეთ მთებში, მეგობრებო!

**იამზე სამხიანი,**
**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.**

# მეორე ტაიმის დაბრკოლებაზე

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 2 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:1 (1:0).

„დინამო“: აბუსერიძე, პაიკიძე (ყვანია), ჩივაძე, კერესელიძე, ქიბა, ჯოხაძე (გურული), სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, კაკილაშვილი, შენგელია.

„ნეფთჩი“: კრამარენკო (ტიშინი), ლარიბოვი, დროზდოვი (ამიროვი), აბდულაევი, სუდიევი, ვაზაზადე, ალეკპეროვი, ახმედოვი, პონომარიოვი, ყურბანოვი, ჯავადოვი.

მსაჯი: ა. მუშკოვეცი (მოსკოვი).

გააფრთხილეს აბდულაევი.

დუბლიორები: 3:1. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ყვანიამ და გოგრიჭიანმა (2).

წლეულს უკვე მერამდენედ ფეხბურთის ქომაგებმა გაწბილებულებმა დატოვეს „დინამოს“ სტადიონი. არაფერს ვამბობ იმათზე, ვინც ტელევიზიის საშუალებით ადევნებდა თვალს „ნეფთჩისთან“ მატჩს.

თქმა არ უნდა, ეს შეხვედრა მასპინძლებმა განსაკუთრებული მონდომებით დაიწყეს და ასეთივე მონდომებით ითამაშეს უკანასკნელ წუთამდე. ეს ძალიან კარგია. მონდომება მართლაც კეთილი მსახურია ყველა საქმეში, მაგრამ არც ისეთი, რომ კაცს ყველა პრობლემა გადააწყვეტინოს. მიზნის მისაღწევად სურვილის გარდა ოსტატობაც არის საჭირო. ფეხბურთში ეს ნიშნავს მოთამაშეთა კარგ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას, მთელი გუნდისთვის კი სწორ ტაქტიკურ აზროვნებას. ამ თვალსაზრისით თბილისის „დინამოში“ რომ ბევრი რამ ვერ არის რიგზე, „ნეფთჩისთან“ მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა. შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც მოსდიოდათ შეცდომები მცველებს, გამარჯვებისთვის აუცილებელი უპირატესობის მოპოვება ვერ შეძლო ნახევარდაცვამ, ხშირად სცოდავდნენ ფეხბურთელები შეტევის დამამთავრებელ სტადიაში — გურულს, შენგელიას და რამდენჯერმე სხვებსაც უთუოდ შეეძლოთ გამოეჩინათ თავი. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს: ამ ბოლო ხანს „დინამო“ ერთობ ხშირად აგებს მეორე ტაიმს. ეს ფაქტი მით უფრო სამწუხაროა, რომ გუნდის კლასი, მისი როგორც ფიზიკური ისე ტაქტიკური პოტენციალი სწორედ მეორე ტაიმით იზომება.

მატჩის დასაწყისში მასპინძელთა იერიშებს შედეგი უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც. ბაქოელმა მცველებმა 30-ე წუთზე ჯერ შენგელია წააქციეს საჯარიმოში, ორი წუთის შემდეგ კი — გუცაევი. ჩივაძემ ზუსტად დაარტყა პენალტი — 1:0.

55-ე წუთზე მცველთა შეუთანხმებელი მოქმედებით კარგად ისარგებლა პონომარიოვმა და ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

შემდეგ თბილისელები ბევრს ცდილობდნენ — 75-ე და 87-ე წუთებზე გურულსა და გუცაევს ჰქონდათ გოლის გატანის მშვენიერი შესაძლებლობა, ერთხელ ბურთი სტუმართა კარის ძელსაც მოხვდა — მაგრამ ბაქოელთა კარი ხელუხლებელი დარჩა. ის კი არა, 86-ე და 90-ე წუთებზე ახმედოვისა და ჯავადოვის დარტყმების შემდეგ მასპინძელთა კარი ბეწვზე ეკიდა — კარგად ითამაშა მეკარე აბუსერიძემ.

• • •

არ შეიძლება არ დაეთანხმო მატჩის შემდეგ ინტერვიუში თბილისის „დინამოს“ მწვრთნელს გ. ნოდიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა ერთი ნაწილის ფიზიკური მომზადება არასაკმარისია. ეს ფაქტი აღინიშნა „ლელოში“ დაბეჭდილ წინა ორი მატჩის რეცენზიებშიც და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზეც. მართალია ისიც, რომ ეს ნაკლი არ ახასიათებს რიგ ფეხბურთელებს, ვთქვათ, თენგიზ სულაქველიძეს, სპორტსმენს, რომელიც გუნდის წარუმატებელი თამაშის მიუხედავად სეზონის ყველა მატჩს მართლაცდა შესაშური თავდადებით და არა მარტო თავდადებით, ძალზე კარგადაც თამაშობს. სხვათა შორის, ეს ფაქტიც არაერთხელ აღნიშნულა იმავე „ლელოში“. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, გუნდის საერთო ფიზიკური მომზადების დონე ცალკეულ ფეხბურთელთა მომზადების ჯამის საშუალო არითმეტიკულით იზომება და ბუნებრივია, ამ საშუალო დონეს სასურველამდე ვერ ასწევს ორი ან სამი, თუნდაც ხუთი ფეხბურთელი.

სამწუხაროა ისიც, რომ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ახლა თბილისის „დინამოა“, გუნდის მწვრთნელებს ჰყოფნით გამბედაობა, პრეტენზია გამოთქვან პრესაში (რა თქმა უნდა, არა მარტო „ლელოში“) გამოთქმული კრიტიკის გამო. კრიტიკისა, რომლის მართებულობა, როგორც „ნეფთჩისთან“ მატჩმა, ისე სხვათა შორის თვით გ. ნოდიამაც დაადასტურა როცა აღინიშნა, რომ „დინამომ“ ეს შეხვედრა განსაკუთრებული მონდომებით ითამაშა. სიტყვა „განსაკუთრებულად“ სწორედ იმის აღიარებაა, რომ აქამდე გუნდი სრულად არ ავლენდა ამ მონდომებას.

ალბათ არ არის იმის შეხსენების აუცილებლობა, რომ თბილისის „დინამო“ არც რამდენიმე მწვრთნელის გუნდია, არც „ლელოსი“ და არც თუნდაც საქართველოს დედაქალაქ თბილისისა. ყველაფერ ამის უკან ხუთმილიონიანი რესპუბლიკა დგას თავისი იმედებით, განცდებით და მოთმინებით, რომელსაც ალბათ ზღვარიც აქვს.

სამწუხაროა, რომ ხსენებულ ინტერვიუში ფეხბურთის მწვრთნელმა-სპეციალისტმა კონკრეტულად არაფერი თქვა თუნდაც უკანასკნელ მატჩზე. არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ რატომ ვერ თამაშობს გუნდი მეორე ტაიმში, რატომ ვერ მოიძებნა და დადგინდა „დინამოს“ დაცვისა და ნახევარდაცვის ეგრეთ წოდებული საბრძოლო შემადგენლობა, რატომ ვერ გაირკვა ქიბას, სვანაძის, პაიკიძის, კერესელიძის, ჯოხაძის ფუნქციები. იმიტომ ხომ არა, რომ მეორე ტაიმის ცუდი თამაში ტაიმებშუა შესვენებისას თამაშის არაკვალიფიციური გარჩევის, ანდა ფეხბურთელთა სუსტი ფიზიკური მომზადების შედეგია, რაც ფაქტიურად ისევ მწვრთნელთა სისუსტეზე მიუთითებს? იმიტომ ხომ არა, რომ მწვრთნელის ფუნქციებში შედის გუნდში მოსული ფეხბურთელის ადგილის გამოძებნა? ყველაფერ ამის სანაცვლოდ „დინამოს“ მწვრთნელი ჟურნალისტისაგან ითხოვს პრაქტიკულ რჩევას და შენიშვნებს. და თუ ეს მართლაც ასეა, თუ დღეს თბილისის „დინამოს“ მწვრთნელები მართლა ჟურნალისტთა კონკრეტული საფეხბურთო წინადადებების იმედზე არიან, მაშინ მართლა ცუდად, ცუდად კი არა, უსაშველოდ გვქონია საქმე.

თითქმის მთელი წლევანდელი საფეხბურთო სეზონის მანძილზე, გაზეთ „ლელოში“ დაბეჭდილი საფეხბურთო ანგარიშები გუნდის წახალისებით, შეგულიანებით, გულშემატკივართა დამაიმედებელი ფრაზებით არის სავსე. ამდენად უფრო გულსატკენია იმ, შეიძლება ერთადერთი კრიტიკული რეცენზიის მიმართ გუნდის მწვრთნელთა ოპოზიციური განწყობილება, მწვრთნელთა, რომელთა ხელშიც ქვეყნის ერთ-ერთი სახელოვანი კოლექტივი გათამაშების ცხრილის ფსკერზე მოექცა.

**ი. ბერიაშვილი.**

## უმაღლესი ლიგა

## სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**მოგვყავს** სსრ კავშირის 46-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 29-ე ტურის შეხვედრათა სტატისტიკური მონაცემები:

**„ფახთაქორი“ — „არარატი“ 3:0 (1:0).** ტაშკენტელ ფეხბურთელებს ამ მატჩში სრული უპირატესობა ჰქონდათ. 2 ბურთი გაიტანა იაკუბიკმა, ერთი — პეტრუშინმა.

დუბლიორები — 2:1.

**„სპარტაკი“ — „დინამო“ (კიევი) 0:0.**

გააფრთხილეს კიეველი კუზნეცოვი.

დუბლიორები — 1:2.

**„ჩერნომორეცი“ — ცსკა 1:1 (1:1).** ანგარიში პირველივე წუთებზე გახსნა არმიელმა ტარხანოვმა, ხოლო ოდესელმა პლოსკინამ 29-ე წუთზე 11-მეტრიანით აღადგინა თანაფარდობა.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: მ. კობიაშვილი (გორი), ზ. თოდაძე (ქუთაისი), უ. ფურცელაძე (თბილისი).

დუბლიორები — 4:2.

**„დნეპრი“ — „დინამო“ (მინსკი) 2:1 (0:1).** ლიდერთა ამ მეტად საპასუხისმგებლო მატჩში დაწინაურდნენ მინსკელები (ალეინიკოვი). შესვენების შემდეგ ლიტოვჩენკომ ზედიზედ 2 ბურთი გაიტანა სტუმართა კარში.

დუბლიორები — 2:1.

**„შახტიორი“ — „ჟალგირისი“ 3:0 (2:0).** სამივე ბურთი სოკოლოვსკიმ გაიტანა.

დუბლიორები — 2:1.

**„ნისტრუ“ — „ტორპედო“ (მოსკოვი) 0:3 (0:1).** ბურთები გაიტანეს პეტრენკომ, ჟუპიკოვმა და დოზმოროვმა.

გააფრთხილეს ტორპედოელი პივცოვი.

დუბლიორები — 3:1.

**„დინამო“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 2:1 (1:1).** მოსკოველთაგან ბურთები გაიტანეს მოლოდცოვმა და გაზაევმა (პენალტი), ხოლო „მეტალისტის“ მხრივ — ფედეცკიმ.

გააფრთხილეს მოსკოვის დინამოელი კარატაევი.

დუბლიორები — 3:1.

## გათამაშების ცხრილები

### ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 4 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ | 28 | 17 | 5 | 6 | 49—30 | 39 |
| „სპარტ.“ | 27 | 14 | 8 | 5 | 49—18 | 36 |
| „დინ.“ მნ. | 27 | 13 | 7 | 7 | 40—28 | 33 |
| „ზენიტი“ | 27 | 13 | 7 | 7 | 35—25 | 33 |
| „შახტ.“ | 28 | 14 | 3 | 11 | 42—30 | 31 |
| „ფახთ.“ | 27 | 11 | 9 | 7 | 32—23 | 31 |
| „ჟალგ.“ | 27 | 11 | 9 | 7 | 26—29 | 31 |
| „დინ.“ კ. | 27 | 11 | 8 | 8 | 34—28 | 30 |
| „ტორ.“ მ. | 27 | 10 | 10 | 7 | 29—25 | 30 |
| „ჩერნომ.“ | 27 | 12 | 5 | 10 | 32—36 | 29 |
| ცსკა | 27 | 9 | 9 | 9 | 32—28 | 27 |
| „მეტალ.“ | 27 | 10 | 5 | 12 | 35—37 | 25 |
| „ნეფთჩი“ | 28 | 8 | 8 | 12 | 28—35 | 24 |
| „არარ.“ | 27 | 10 | 3 | 14 | 25—39 | 23 |
| „დინ.“ მ. | 26 | 7 | 8 | 11 | 22—27 | 22 |
| „დინ.“ თბ. | 27 | 7 | 6 | 14 | 36—43 | 20 |
| „ტორ.“ ქ. | 28 | 4 | 9 | 15 | 21—43 | 17 |
| „ნისტრუ“ | 28 | 3 | 3 | 22 | 17—60 | 9 |

### დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 4 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ კ. | 27 | 20 | 4 | 3 | 63—19 | 44 |
| „დინ.“ მ. | 26 | 15 | 5 | 6 | 35—21 | 35 |
| ცსკა | 27 | 13 | 8 | 6 | 43—31 | 34 |
| დინ.“ თბ. | 27 | 13 | 7 | 7 | 38—20 | 33 |
| „დინ.“ მნ. | 27 | 12 | 9 | 6 | 46—33 | 33 |
| „ზენიტი“ | 25 | 13 | 3 | 9 | 45—37 | 29 |
| „ნეფთჩი“ | 28 | 10 | 9 | 9 | 40—38 | 29 |
| „მეტალ.“ | 27 | 10 | 7 | 10 | 51—45 | 27 |
| „დნეპრი“ | 27 | 10 | 6 | 11 | 36—34 | 26 |
| „ჩერნ.“ | 26 | 9 | 8 | 9 | 42—39 | 26 |
| „ფახთაქ.“ | 27 | 8 | 10 | 9 | 35—42 | 26 |
| „ჟალგ“. | 27 | 9 | 7 | 11 | 35—42 | 25 |
| „შახტ.“ | 28 | 8 | 6 | 14 | 29—37 | 22 |
| „ტორ.“ მ. | 27 | 8 | 6 | 13 | 29—41 | 22 |
| „სპარტ.“ | 27 | 5 | 11 | 11 | 40—53 | 21 |
| „ნისტრუ“ | 26 | 7 | 6 | 13 | 30—52 | 20 |
| „არარ.“ | 27 | 7 | 4 | 16 | 24—47 | 18 |
| „ტორპ.“ ქ. | 28 | 6 | 2 | 20 | 26—57 | 14 |

## ემზადებიან...

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მომავალ შესარჩევ მატჩებთან დაკავშირებით აქტიურად ემზადება სსრ კავშირის პირველი ნაკრები. 6 სექტემბერს ჩვენი გუნდი დასავლეთ ბერლინში საწვრთნელ მატჩს გამართავს იქაურ „ჰერტასთან“.

**ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83 ფეხბურთი - 83**



## მიღება იწყება დღეს

**თბილისის** „დინამოს“ ჭაბუკ ფეხბურთელთა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლა აცხადებს 1970–75 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას.

ნორჩ ფეხბურთელთა მიღება დაიწყება დღეიდან ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე და გაგრძელდება უახლოეს კვირა დღეებში დილის 9 საათიდან. სკოლაში შესვლის მსურველებმათან უნდა იქონიონ სპორტული ფორმა და საექიმო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

ნორჩთა შერჩევას უხელმძღვანელებენ სკოლის გამოცდილი მწვრთნელები.

## ოლიმპიელთა მატჩი

**როგორც** ვიცით, სსრ კავშირის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრებს სათავეში ჩაუდგა ახალი უფროსი მწვრთნელი — ე. მალოფეევი. 7 სექტემბერს ჩვენს ოლიმპიელებს მეტად პასუხსაგები კალენდარული მატჩი აქვთ უნგრეთის გუნდთან. ოლიმპიური ტურნირის ევროპის „ა“ შესარჩევ ქვეჯგუფში არიან სსრ კავშირის, უნგრეთის, ბულგარეთისა და საბერძნეთის გუნდები. ჩვენმა ფეხბურთელებმა უკვე 2 მატჩი ჩაატარეს, პლოვდივში ფრედ ითამაშეს ბულგარელებთან —2:2 და შინ, მოსკოვში, ანგარიშით 3:0 დაამარცხეს საბერძნეთის ნაკრები.

უნგრეთისა და სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდების მატჩის რეპორტაჟს საკავშირო ტელევიზია 7 სექტემბერს გადასცემს I პროგრამით 22 საათსა და 35 წუთიდან თბილისის დროით.

### პოლონელთა სიძნელეები

**7 სექტემბერს** განახლდება ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრები ჯგუფებში. ამ საპასუხისმგებლო მატჩებისათვის ემზადებიან პოლონელი ფეხბურთელებიც, მაგრამ მათი ნაკრების ხელმძღვანელობა უკვე ახლა სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა.

იქაური ფეხბურთის მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ახლა ძნელი სავარაუდოცაა თუ როგორი იქნება მათი ნაკრები. ამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელები ზ. ბონეკი, პ. იანასი და ი. კუპცევიჩი უცხოეთის გუნდებში თამაშობენ და არავინ იცის გაუშვებენ თუ არა მათ ამ კლუბების ხელმძღვანელები ნაკრების საწვრთნელ შეკრებებზე და თვით მატჩებზე. ამიტომაა, რომ პოლონეთის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. პეხნიჩეკმა გადაწყვიტა რადიკალურად შეცვალოს შემადგენლობა და გუნდში მიიწვიოს ახალგაზრდები.

პოლონელთა მდგომარეობა ევროპის ჩემპიონატის II შესარჩევ ჯგუფში ახლა მეტად არასახარბიელოა. მას შემდეგ, რაც მათ ლისაბონში წააგეს პორტუგალიელებთან (1:2) და ფრედ ითამაშეს ფინეთისა და სსრ კავშირის გუნდებთან (ორივე შემთხვევაში — 1:1), მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვთ: გამარჯვებები საპასუხო შეხვედრებში სსრ კავშირისა და პორტუგალიის გუნდებთან (საბჭოთა ნაკრებს პოლონელები მეტოქის მინდორზე უნდა შეხვდნენ 9 ოქტომბერს, ხოლო პორტუგალიელებს შინ ღებულობენ 28 ოქტომბერს). ამ სიძნელეთა მიუხედავად ა. პეხნიჩეკი ოპტიმისტურადაა განწყობილი და ასევე განაწყობს თავის ფეხბურთელებსაც.

პოლონეთის გუნდი 7 სექტემბერს კრაკოვში მიიღებს რუმინეთის ნაკრებს. ეს ამხანაგური შეხვედრა პოლონელთა ძალების ბოლო შემოწმება იქნება ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტი შესარჩევი მატჩების წინ.

## მოკლედ

### „მსოფლიო ფეხბურთის ენციკლოპედია“

ესპანეთში ახლახან გამოვიდა „მსოფლიო ფეხბურთის ენციკლოპედიის“ 6 ტომი. მეტად ლამაზად გამოცემული ენციკლოპედია შეიცავს მაქსიმალურად შესაძლებელ ინფორმაციას ფეხბურთზე და მიუხედავად იმისა, რომ ტირაჟი მეტად სოლიდურია, ფეხბურთის მოყვარულებმა 6-ტომიანი გამოცემა სულ რამდენიმე დღეში დაიტაცეს. გამომცემლობას ახლა მრავალი განაცხადი მოსდის, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან თხოულობენ ახალი ტირაჟის დაბეჭდვას.

### უხეშობა ინგლისურ ფეხბურთში

საერთაშორისო საფეხბურთო პრესამ არაერთხელ აღნიშნა, რომ ინგლისურ ფეხბურთში არ იკლებს უხეშობა, რის გამოც მსაჯებს ხშირად უხდებათ უდისციპლინობასთან ბრძოლა წითელი ბარათების დახმარებით. 250-ზე მეტი ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან, მათგან 41 პირველი დივიზიონის წარმომადგენელია.

საინტერესოა, რომ მინდვრიდან გაძევებულთა შორის 14 მეკარეა.

### დ. პანტელიჩი — პენალტების ოსტატი

იუგოსლავიის ნაკრების ცნობილმა ფეხბურთელმა, მეკარე დრაგან პანტელიჩმა ოფიციალურად შეწყვიტა თავისი კარიერა. სტატისტიკოსებმა გამოარკვიეს, რომ დ. პანტელიჩი პენალტების დიდი ოსტატი ყოფილა და შესაბამისი ციფრებიც გამოაქვეყნეს.

ფეხბურთში გატარებული წლების მანძილზე დ. პანტელიჩის კარში დაარტყეს 33 პენალტი, მათგან 21 მან მოიგერია. მაგრამ ამავე დროს პანტელიჩი თვით იყო პენალტის დარტყმის სპეციალისტი, მან 21 პენალტი დაარტყა და 20 გოლი გაიტანა.

### ჯერ კიდევ თამაშობს

გამოჩენილი ინგლისელი ფეხბურთელი სტენლი მეტიუზი, თურმე, ჯერ კიდევ თამაშობს ფეხბურთს. 69 წლის ს. მეტიუზი ახლა კუნძულ მალტაზე ცხოვრობს და ერთ-ერთ ადგილობრივ სამოყვარულო კლუბში გამოდის.

ინგლისური გაზეთის კორესპონდენტმა ჰკითხა ს. მეტიუზს, კიდევ რამდენ ხანს აპირებს ბურთის თამაშს. მან უპასუხა: შვეციის მეფე გუსტავი 80 წლამდე აქტიურად მონაწილეობდა ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში. არც მე მინდა მოვიკლო სიამოვნება, რასაც ბურთის გატანა მგვრის.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# თამაშების გამოძახილი

ამ დღეებში ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში დამთავრებულ IX პანამერიკულ თამაშებზე მოპოვებული ჯილდოების მიხედვით საერთო გუნდური პირველობა ამერიკელ სპორტსმენებს ხვდათ წილად, მაგრამ ეს თამაშები მარტო ამ ნიშანთვისებით როდი შევა ისტორიაში. ასპარეზობა პირველ რიგში გამოირჩევა იმით, რომ უაღრესად ოპერატიულად და მოქნილად მუშაობდა ანტისადოპინგო კომისია და მან ორ ათეულამდე სპორტსმენი აღმოაჩინა, რომლებსაც სტარტამდე მიღებული ჰქონდათ აღმგზნები საშუალებანი და მათგან 23-მა პრიზიორმა დაუბრუნა მედლები თამაშების ორგანიზატორებს. ეს რიცხვი სარეკორდოა. ახლა ისინი ფედერაციათა სათანადო სანქციების მოლოდინში არიან.

ამ ფაქტს მსოფლიო პრესამ უდიდესი სკანდალი უწოდა. ჩიკაგოელი შტანგისტი ჯ. მიხელსი, რომელმაც კარაკასში 3 ოქროს მედალი მოიპოვა, ძალოსნობის მსოფლიო ფედერაციის მიერ დისკვალიფიცირებულია 1984 წლამდე. ეს კი იმას ნიშნავს რომ იგი ვერ გამოვა ლოს-ანჯელესის XXIII საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებში, რაზეც ძალზე ოცნებობდა.

## ● თანამედროვე ხუთჭიდი

**შვეციის** ქალაქ გეტებორგში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდელ ქალთა შორის. მსოფლიო ჩემპიონი პირველად გახდა კანადელი ლ. ჩერნობრივი. II ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა მსოფლიოს 1981 წლის ჩემპიონმა, შვედმა ა. ალგრენმა — 5198 ქულა, ბრინჯაოს მედალი კი ინგლისელმა ს. პარკერმა დაიმსახურა — 5082 ქულა.

გუნდურ ჩათვლაში მსოფლიო ჩემპიონობა შეინარჩუნა დიდი ბრიტანეთის გუნდმა — 15050 ქულა. II ადგილზე გავიდნენ გფრ-ის სპორტსმენები — 14870 ქულა, ხოლო III შვედები — 14709 ქულა.

## პანორამა

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე აშშ-ს, პოლონეთის, იტალიის, საფრანგეთის, ჩინეთის, ფინეთისა და მექსიკის სპორტსმენი ქალები. ეს იყო მსოფლიოს ქალთა მესამე ჩემპიონატი.

## ● რეგბი

**მოსკოვში** დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი — „მეგობრობა". მასში მონაწილეობენ სოციალისტური ქვეყნების რეგბისტები (18 წლამდე). გუნდები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. პირველში გამოდიან ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის და გდრ-ის გუნდები, მეორეში — პოლონეთის, უნგრეთისა და სსრ კავშირის კოლექტივები. ჯგუფებში ტურნირები წრიული სისტემით ტარდება, ხოლო გამარჯვებულები ოქროს მედლებს გაითამაშებენ. პირველ ტურში რუმინელებმა დაამარცხეს გდრ-ის თანატოლები 58:0, ხოლო სსრ კავშირის ნაკრებმა სძლია პოლონელებს 28:14.

• • •

**ჩეხოსლოვაკიის** ქალაქ ოლომოუცის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვეს უელსის რეგბისტებმა, რომლებმაც ფინალში სძლიეს კრაკოვის „იუვენიას" 20:4. მესამე ადგილზეა ფრანგული გუნდი „ვიიეიუიფი". მეექვსეზე გავიდა კაუნასის „ლოკომოტივი".

## ჩანაწერები ვიქტორ გოგლიძისა

# 6. მზადება ჩემპიონატზე

**მოსკოვის** საერთაშორისო ტურნირში ვიქტორ გოგლიძის შესანიშნავმა გამოსვლამ ხელი შეუწყო ქართველი ახალგაზრდობის ინტერესის გაღვივებას ამ ბრძნული თამაშის მიმართ.

დრომ ახალი, უფრო დიდი საჭადრაკო კლუბის გახსნის საკითხი დააყენა, ვიდრე ჰქონდათ მოჭადრაკეებს რუსთაველის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხის შენობაში (დღეს ამ ადგილას ტელეგრაფის ახალი შენობა დგას). ვიქტორ გოგლიძე, რომელიც იმხანად უკვე თბილისის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორად მუშაობდა, ენთუზიასტებთან ერთად შესაფერ ბინას ეძებდა. 1936 წლის გაზაფხულზე მოჭადრაკეებმა ძველი ეკლესიის შენობა (რუსთაველის პრ., 48. დღეს აქ საქართველოს კომკავშირის მუზეუმია) მიიღეს დიდი დარბაზით, მეცადინეობისთვის საჭირო ოთახებით. ახალი საჭადრაკო კლუბი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი საჭადრაკო ცხოვრების ცენტრად გადაიქცა.

— ამ შენობის მიღება დააჩქარა საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებამ: თბილისში გაიმართოს სსრ კავშირის ჩემპიონატი. სპორტის მესვეურნი თადარიგიანად მოიქცნენ. ფიქრობდნენ, რომ ჩემპიონატს ეს კლუბი გაუწევდა მასპინძლობას, მაგრამ არ გამოვიდა, — იხსენებდა ვიქტორ გოგლიძე.

ინსტიტუტში სწავლით და საზოგადოებრივი საქმეებით დაკავებული ვიქტორი თითქმის ჩამოცილდა ჭადრაკს. 1936 წელს მხოლოდ ახალგაზრდა ოსტატთა ტურნირში (ლენინგრადი) მიიღო მონაწილეობა და ისიც წარუმატებლად.

1936 წლის შემოდგომაზე ვიქტორი ქალიშვილის მამა გახდა. გაჩნდა მარინე, რომელმაც შემდეგ ოჯახი და სამშობლო ასახელა. დღეს მარინე გოგლიძე-მდივანი მსოფლიოში სახელგანთქმული პიანისტია, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი და მოსკოვის კონსერვატორიის დოცენტი. სწორედ მარინეში იჩინა თავი მამისგან თანდაყოლილმა მუსიკალურმა ტალანტმა. ვიქტორი დიდად ამაყობდა თავისი პირმშოთი.

1937 წელი სსრ კავშირის X ჩემპიონატისთვის სამზადისით დაიწყო. საკავშირო ჩემპიონატი პირველად ტარდებოდა მოკავშირე რესპუბლიკაში, რაც მასპინძლებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა.

შეჯიბრებისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ორგანიზატორებმა სარბიელად შოთა რუსთაველის დრამატული თეატრის საკონცერტო დარბაზი აირჩიეს.

მზადებაში ვიქტორ გოგლიძეც აქტიურად მონაწილეობდა, როგორც საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე. მისი კონსულტაციით დამზადდა სადემონსტრაციო დაფები, ბზის ჭადრაკის კომპლექტები და სხვ. სტარტამდე მხოლოდ ორიოდე კვირით ადრე შეძლო ვიქტორმა თბილისიდან გასვლა. სამეცადინოდ გაგრაში გაემგზავრა.

— ვერც გაგრაში ვიმეცადინე. ორიოდე დღის ჩასული ავტოავარიაში მოვყევი და ორი კვირა ლოგინში გავატარე, — იხსენებდა გოგლიძე. — მართალია, მომზადებული თითქმის არ ვიყავი, მაგრამ თამაში ძალიან მწყუროდა.

ჩემპიონატი 1937 წლის 12 აპრილს გაიხსნა. საასპარეზოდ ჩამოვიდა 18 მოჭადრაკე, რომელთაც ვ. გოგლიძე და 29 წლის არჩილ ებრალიძე შეუერთდნენ. უძლიერესთაგან მხოლოდ მ. ბოტვინიკი არ იყო. იგი საკანდიდატო დისერტაციის დასაცავად ემზადებოდა.

მასპინძლების მომზადების თაობაზე ჟურნალი „შახმატი ვ სსსრ"-ი (№ 5) წერდა: „პირველი, რაც თვალში გვხვდება დარბაზში შესვლისას, შესანიშნავად გაფორმებული სცენაა, სადაც მოჭადრაკეები თამაშობენ. უნაკლოა ტურნირის ორგანიზაცია, გათვალისწინებულია ყველა წვრილმანი, რაც ხშირად ხელს უშლის საჭადრაკო შემოქმედების პროცესს".

სპორტული ბრძოლის აღწერა შორს წაგვიყვანს. აღვნიშნავ მთავარს. თამაში ისე აეწყო, რომ ჩემპიონის ტიტულის მოპოვება შეეძლოთ მხოლოდ გ. ლევენფიშს, ვ. რაგოზინს, ა. კონსტანტინოპოლსკისა და ვ. მაკოგონოვს. საბოლოოდ, 48 წლის ლევენფიშის დიდმა გამოცდილებამ და ცოდნამ თავისი გაიტანა (I ადგილი, 12,5 ქულა). დანარჩენებმა მომდევნო ადგილები დაიკავეს.

ვიქტორ გოგლიძემ V-VII ადგილები გაიყო ა. ბელავენეცთან (მოსკოვი) და გ. ლისიცინთან (ლენინგრადი) — 11-11. თავიდან ზოგ სპეციალისტს მიაჩნდა, რომ პრაქტიკას მოკლებული გოგლიძე წარმატებით ვერ ითამაშებდა. შეიძლება ამიტომაც ქართველი ოსტატი ფრთხილობდა, ნაადრევად თანხმდებოდა ყაიმზე (იგი 12 შეხვედრაში დაზავდა). ორი პარტია მაინც წააგო (ლევენფიშთან, ბუდოსთან), სამაგიეროდ, ხუთი მოიგო (ვ. რაუზერთან, ვ. ალატორცევთან, ვ. ჩეხოვერთან, ჰ. კასპარიანთან, ა. ებრალიძესთან).

ვ. გოგლიძის „სპორტული შედეგები ბევრად უფრო დიდია, ვიდრე მოსალოდნელი იყო. წარმატების მიუხედავად, გოგლიძე უნდა დაუფიქრდეს თავის შემოქმედებითს მეთოდს", წერდა ჟურნალ „შახმატი ვ სსსრ"-ში (№ 5) ცნობილი ოსტატი და საჭადრაკო მოღვაწე პ. რომანოვსკი. ქართველ მოჭადრაკეს ყაიმების სიმრავლეს უსაყვედურებდნენ. როგორც აღვნიშნეთ, ვიქტორს ჰქონდა ასე მოქცევის მიზეზი. მაგრამ, როცა ძალა და განწყობა ხელს აძლევდა, იგი შემოქმედებითი პათოსით უტევდა. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი ღრმა სტრატეგიით გააზრე-

ამ პარტიაში მან კუს ღრმა მანევრი განახორციელა და გამარჯვებისთვის გადამწყვეტი მატერიალური უპირატესობა მიიღო.

გთავაზობთ ამ პარტიას კრიტიკული პოზიციიდან. ყურადღება მიაქციეთ თეთრი კუს საოცარ მოგზაურობას კa6—b7—a8—b7—a6.

ალატორცევი



გოგლიძე

17. კa6! ლd6 18. კb7 მg5 19. მe5! (ხელს უშლის შავების იერიშს მეფის ფრთაზე) 19. ...ე×e5 20. f4! ეe8 (აგებს 20. ...ე×e3, 21. ლd4-ის შემდეგ) 21. კ×a8 f6 22. ლc2 მe4 23. ეfd1 ეc8 24. კb7 ეc7 25. კa6 კf5 26. g4 კc8 27. ლ×e4 კ×a6 28. ლe8+ ლf8 29. ლ×f8+ მფ×f8 30. კa3+ მფe8 31. კd6 ეc8 32. კ×b8 ე×b8. 33. ე×c6 კe2 34. ე×d5! კf3 35. e4! და ორიოდე სვლის შემდეგ შავები დანებდნენ.

— თავადაც ვგრძნობდი, რომ პრაქტიკა და მეცადინეობა მაკლდა. ჭადრაკისთვის ცოტა დრო მრჩებოდა. მე ხომ პროფესიონალი არ ვიყავი. ეს ავიწყდებოდათ ჩემს კრიტიკოსებს, — მიამბობდა ვიქტორი.

ჩემპიონატმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ყველაზე. ბევრი ნორჩი თბილისელი ეზიარა ჭადრაკს, შეიყვარა იგი.

ვიქტორ გოგლიძე ისე დაიტვირთა სამსახურით, სწავლით და საზოგადო საქმეებით, რომ ველარ მონაწილეობდა თბილისისა და საქართველოს პირველობებში. მხოლოდ 1939 წლის დამდეგს გამოვიდა დიდ საერთაშორისო ტურნირში (მოსკოვი, ლენინგრადი), სადაც მ. ბოტვინიკის გარდა თამაშობდა ყველა მოწინავე საბჭოთა ოსტატი, აგრეთვე ამერიკისა და ევროპის „ვარსკვლავები" ჰ. კერესი, ს. ფლორი და ს. რეშევსკი. ვიქტორს წარმატება არ ჰქონია. ალბათ სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან უპრაქტიკოდ მაშინაც ბევრს ვერაფერს მიაღწევდი.

— ამ ტურნირის შედეგებმა ძალიან ჩამაფიქრა. არჩევანი უნდა გამეკეთებინა: გამეგრძელებინა პრაქტიკული გამოსვლები თუ მწვრთნელისა და საზოგადო მოღვაწეობისთვის მომეკიდა ხელი? — მიამბობდა ლვაწლმოსილი მოჭადრაკე.

**თ. გიორგაძე.**

• • •

მწერალ-დრამატურგ სოსო ბეგიაშვილის მეგობრული შარჟი საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებზე, რომელიც გაზეთ „კომუნისტში" დაისტამბა (1937 წ. 15 მაისი). სურათზე: (მარცხნიდან) გ. ლევენფიში, ვ. რაგოზინი, ა. კონსტანტინოპოლსკი, ვ. მაკოგონოვი, ვ. გოგლიძე, ა. ბელავენეცი, გ. ლისიცინი, ვ. რაუზერი, მ. იუდოვიჩი, ვ. ალატორცევი და ი. რაბინოვიჩი.



გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 162, 163, 165, 167, 169.

# იურმალიდან... ნიუ-იორკში

**17 წლის** ლვოველმა ჩოგბურთელმა ლ. სავჩენკომ ამას წინათ იურმალაში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ერთეულთა შორის. და აი ნიჭიერი საბჭოთა სპორტსმენი უკვე აშშ-ს კორტზე გამოვიდა ქვეყნის ღია ჩემპიონატში. ესაა ე. წ. „დიდი ჩაფხუტის" ერთ-ერთი შეჯიბრება, რომელშიც შედის აგრეთვე უიმბლდონის, საფრანგეთისა და ავსტრალიის ღია ტურნირები.

დიდი შეჯიბრების დებიუტანტის გამოსვლამ სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. იგი გფრ-ის პირველ ჩოგანს სილვია ჰანიკას შეხვდა და თანაბარ ბრძოლაში დამარცხდა — 2:6, 7:5, 4:6.

სამ საათზე მეტი დასჭირდა უიმბლდონ-83-ის ჩემპიონს, ამერიკელ ჯონ მაკინროის თანამემამულე ტრეი ვოლტკე რომ დაემარცხებინა — 6:3, 5:7, 4:6, 6:0, 6:1.

ტურნირის სენსაციად მიიჩნიეს მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის, არგენტინელი ხოსე ლუის კლერკის დამარცხება — 2:6, 3:6, 6:7 — ტიმ უილკისონთან (აშშ), რომელსაც მსოფლიოს კლასიფიკაციაში 73-ე ადგილი (!) უკავია.

ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა, ამერიკელმა ჯიმი კონორსმა ანგარიშით 6:2, 6:4, 3:6, 6:2 დაჯაბნა რამეშ კრიშნანი (ინდოეთი).

წარმატებით აიღო სტარტი უიმბლდონის ტურნირისა და საფრანგეთის ღია ჩემპიონატში გამარჯვებულმა პასკალ პარადიმ (საფრანგეთი), რომელმაც სძლია გამოცდილ ავსტრალიელ სპორტსმენს დიანა ფრომხოლცს — 6:1, 3:6, 6:1.

## „სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 36-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 49"-დან:** 10 (წყალბურთი), 16 (ცხენოსნობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 28 (ტყვიის სროლა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 47 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 1 (კალათბურთი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 21 (ცურვა), 28 (ტყვიის სროლა).

**რედაქტორის მოადგილე უ. ჟიჟინაძე.**

**თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ველოსპორტის სპორტული სკოლა**

**აცხადებს**

1983-84 სასწავლო წლისთვის 12-13 წლის გოგონებისა და ბიჭების მიღებას.

დაწვრილებით ცნობებისათვის მიმართეთ სპორტული სკოლის დირექციას: თბილისი, კამოს ქ. 89 ტელეფონი 95-80-48; 95-22-67.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡᲐ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, 380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14. ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲤᲡᲔᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲡᲐᲒᲐᲖᲔᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ, ᲮᲝᲨᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ, 29. ИНДЕКС 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

უე 07748